

წელიწადი პირველი.

ახალი

# სიცოცხლე

№ 4.

ორკვირეული ქურნალი.

№ 4.

შემდეგი № გამოვა 19 (6) მაისს.

მიღება ხელის მოწერა სასულიერო მთავრობისაგან დამოუკიდებელ ორკვირულ ურნალ „ახალ სიტყვაზე.“ ურნალის მიზანია ჩვენის ეკალესის ცხოვების განახლება წმ. სახარების ნიდაგზე და ბრძოლა უსამართლობისან და ფარისევლობისან სასულიერო უწყებაში.

ურნალში თანამშრომლობაზე თანხმობა განუცხადეს რედაქციას: დეკ. კ. ეკკელიძემ, კ. ცინცაძემ, ბ. გასილ ბარნევა, ი. ბერიაშვილმა, მლვდ. ი. შუბლიძემ, ლ. წულაძემ, ეპ. ჩხარძემ, კ. ჯავახიშვილმა, კ გელმა, ქრ. ციცქაშვილმა, ბ. ახუთელმა, ჯაჭვაძემ, ხოსროიანმა და სხვ.

## გზა-ჯვარედინზე.

რუსეთში აწინდელ განმათავისუფლებელ მოძრაობის დაწყების დღიდან ქართველმა სამღვდელოებამ რამოდენიმე გამოცდა გამოიარა.

პირველი გამოცდა გახდათ 1905 წლის 31 მაისს, როცა რუსის ჯანდარმებმა და ყაზახებმა ქართველი სამღვდელოება უწყოლოდ გაამართას და ბევრ მხერვან მოძღვარს თავიდან ჩამონადენ სისხლით შეულებეს კაღარი თმა-წვერი.

ეს ეგზამენი სამღვდელოებამ ჩინებულია დაიჭირა. ამ ზეობრივ გამარჯვების ნაყოფია

ხელის მოწერის ფასი ნახვაზე წლით ცხრა მანეთია. ცალ ე ნომერი ოთხი აბაზი. საგამომცემლო ამხანაგობის გადასხვადა ათი თუმანია.

რედაქცია სთხოვს სამრ ცლო საბჭოებს, შეგნებულ სასულიერო და საერთ მორწმუნე პირთ დახმოუება აღმოუჩინონ მას ურნალის გამოწერით და ერთ დროული შემოწირულებით სარედაქციო ფუნქციისთვის.

ფული მიღლება რედაქციის მოლარე დეკანტონ თოთ ბაძეხთან: ტფილის, სონის ტაძრის ეზოში.

სარედაქციო მას ბი და წერილები უნდა გამოიჩინოს სარედაქციო თლავის რწმუნებულ დ ქმ ი ქაზიოლთან: ტფილის, კაბეკორის ქუჩა, № 47. რედაქცია იმავე ქუჩაზე: № 51.

ის უფრსკული, რომელმაც აულოდნელად პირი იღო რუსეთს და საქართველოს ეკლესიებს შორის; ის სულიერი განწყობილება, რომელმაც შექმნა შირშინდელი 12 მარტი.

მეორე გამოცდა ახდა 1917 წლის 8—17 ეკენისთვე. ამ გამოცდაში ქართველი სამღვდელოება და რომბ ჩვენი ეკლესიი მძიმელ და საჯაროდ ჩიჭია. ეგვაზე დაბადებულთ აღთქმის ქვეყნა ეუცხოვათ. მონობაში აღზრდილთა ჩარმოდაქანა, როგორც მოსალოდნელი იყო, შ ჩვერს კერპარ განსახიერების ექ გასაცილა—და იმ დიად სამოქალაქო მცნებას, რომელსაც არჩევნების თვისუფლება ჰქვია, პატივი ავხადეთ, ერთ

ნაირი მკვდარი წერტილი, თითქოს მოჯადო-  
ებული რკალი შეგემნით, რომელშიც მო-  
უსვენრად, მაგრამ უნაყოფოდ ვტრიალებთ.  
მთელი ენერგია წვრილმან ბრძოლაში იხარ-  
ჯება და ნამდვილი საქმეები კი გაუკეთებელი  
რჩება...

მესამე გამოცდა დღეს არის. სამშობლო  
განსაცდელშია. ქართველ ერის მრავალ საუ-  
კუნოვანი კულტურა და ოვით არსებობაც კი  
გადასავარდნება შემდგარი. რაც გნებავთ და-  
არქით ამ საბედისწერო მდგომარეობას.—გა-  
რეშე მტერთან ომი, შინაური სამოქალაქო  
ბრძოლა, ანარქია, უთაობა თუ აშვებულ პი-  
რუტყვის თარეში,—ამით ჩვენის უბედურების  
სიმწვავე არ იცვლება. ან გამორკვევა და ახა-  
ლი ცხოვრება ან სამუდამოდ დალუბვა—აი  
როგორი ჯვარედინი გზა უდევს წინა ჩვენს  
ერსა.

პირველი გზა გრძელი და ძნელია; მეო-  
რე კი მოკლე და ადგილი.

და რომ მეორე გზამ ერთბაშად არ ჩა-  
გვითრიოს, დაუყონებლივ საჭირონი არიან  
ეროვნული გმირები, თავგანწირულნი მოქა-  
ლაქენი, უზომო სახსარნი, ესე იგი სწორედ  
ისინი და ის, ვინც და რაც ნაკლებად სჩანან  
ჩვენის ცხოვრების ზედა პირზე.

რას იტყვის თავისუფალი ექლესია? რას  
იზამს ფრთხოები სამღვდელოება?—სამარ-  
თლიანად კითხულობს ქართველი ერი, უც-  
დის სამშობლო.

და ჩვენმა სამღვდელოებამ გადაწყვეტი-  
ლი პასუხი უნდა გასცეს დაუყონებლივ, ამ  
წუთშივე. მაა უნდა დაამტკიცოს, რომ ის  
მართლი მუქთა-ჭამიათა ხროვა და საკუთარ  
„მე“-ს მონა როდია, როგორც ბევრსა გო-  
ნია. პირადის მაგალითით, მსხვერპლით და  
თავგანწირებით უჩვენოს მამულს მოსიყარუ-  
ლე გული. გაშიშვლ-გატიტვლდეს, სახლ-კარი  
დათმოს, მშეერი ამოწყდეს, მთელი თავისი  
სახსარი სამშობლოს დაცვის საქმეს მოხმა-  
როს. თუ ეს არ კმარიდეს, თვით გავიჲეს მა-  
მულის და ერის არსებობის დასაცველიდ მწე-  
რლად, მუშად, მზარეულოდ—ამას მოითხოვს  
მოქალაქობრივი შეგნება, სამშობლოს სიყვა-  
რული და იმ დიადი ნაზარეველის მოძღვრება,

ვინც ერისთვის დაუზარებლივ გასჭიმა ღვთა-  
ვებრივი მკლავები ტანჯვის ძელზედა.

უკელაფერი ზვარაკად დაედოს დედა სა-  
მშობლოს! ყოველ ქართველმა თითო მარცვალი  
საკმეველი მაირანის საქართველოს საკურტხე-  
ველთან, ხოლო ანდრიას და ნინოს მოადგი-  
ლებმა მთელი მუჭა, მთელი კალთა!

დიდება მამულისთვის თავდადებულ ქა-  
რთველ მოძღვარს!

ახუთელი.

## სასტიკი ცენტრონი.

10 აპრილს საკათოლიკოსო საბჭოს მო-  
უსმენია ამავე საბჭოს წევრის, კაპიანის, მო-  
ხსენები, რომ ზომები იქმნეს მიღებული  
„ახალ სიტყვის“ თანამშრომელთა წინაღო-  
მდეგ, რაღაც ეს ორგანო კათოლიკოსს უპა-  
ტივებულოდ იხსენიებოს. საბჭოს უარ უყვია  
ეს მოთხოვნა წინააღმდეგ „ტრიუმვირატისა“,  
რომელიც ერთსულოვნად გამოიის ხოლმე  
მთელ დანარჩენ საბჭოს შემაღებელობისა.  
მოხსენება მეც შემხებია, როგორც უურნა-  
ლის ერთ-ერთ თანამშრომელს. მ. ნიკიტა  
თალაქვაძეს მოუთხოვია სხვებისა და პირა-  
დად ჩემთვისაც მღვდელმოქმედების აკვეთა.  
მე, ბატონ ებო, პირადი უსიამოვნების მიყე-  
ნება არავისათვის არ მინდა პირად საქმებისა  
გამო. და თუ ფაქტს აღნიშნავთ, საზოგადო  
ხასიათისას, ნურავინ იყვარებს გარისხებას.

ძალიან ვწუხვარ, რომ იძულებული ვარ  
ზოგიერთი ძველი იმბები მოვაგონო „ახალ  
სიტყვის“ მოწინააღმდეგეთ. შეიძლება ზო-  
გმა ტრაბახობათ ჩამომართვას, მაგრამ მაინც  
ვიტყვი. ვერც მ. ნიკიტა და ვერც სხვა ვინმე  
ვერ ჩამაჩუმებს მუქარით. 1906 წელში დღე-  
ვანდელნი ჩენი „დევგმირნი“ არ გვყოლია  
მოწინააღმდეგეთ, მაგრამ უურნალს მაინც  
ვცემდით. ვიცოდით, რომ ეგზარხოსები თა-  
ვზე ხელს არ გადაგვისვამდნენ, მაგრამ მაინც  
ჩვენის სუსტი ღონით ვცდილობდით ძილით  
არ მოვარეოდა. მაშინ ფრთხოლნი მამანი  
უშიშარ ადგილის იყვნენ თავშეფარებულნი.  
„ახალ სიტყვის“ ჯგუფისათვის საშიში იყვნენ  
ეგზარხოსები, რომელთაც ზურგს უმაგრებდენ



ნამესტნიკი და მთელი რუსის ხულიგანობა, პოლიცია, მაგრამ მაინც ცდილობდა არ და-მონებოდა შიშს. და ახლა, ამ თავისუფლების ხანაში ჩვენს ურომის პაპებს „უნდათ შემო-იღონ ინ კვიზიცია და უჩახრჩონ“, როგორც უბრძანებით, ოპპოზიციური მოძრაობა დეს-პოტების პაროლის წინაღმდეგ. ჩვენ არ შე-გვიძლია იმ კაცების ნამოღვაწარი არ აღვ-ნიშნოთ, რომელთაც წვრიმალ ინტრიგის ქსე-ლში გაიძეს თავი და სიბერეში ჩვეულებრივ გონებრივ შესუსტებისა გამო უფრო ემლე-ვიან თავის ხელობას.

იქნება ვინმემ იფიქროს, ამ თავისუფლე-ბის დროს თავისიანები რაღვან არიან უფრო-სებათ, იმიტომ არ ერიჟებიან და სწერენ მოურიდებლადო. არა, ბატონო. როგორც ვთქვი, ალექსი ეგზარხოს ბეგრი ზიანის მო-უნება შეეძლო პირადად ჩემთვის, მაგრამ 1905 წ. დავთანხმდი მთავრობის ნებადაუ-რთველ საეპარქიო კრებაზე თავმჯდომარეო-ბას. გინდა დამიჯერეთ, გინდა არა, მე მა-შინ არავისაგან ჯილდოს არ მოველოდი, ანა-ფორის დარცვებას, რითაც ახლა იმუქრებიან, კიდევ მეტაც კი მოველოდი... 1905 წლის 31 მაისის ამბავისა გამო ალექსი ეგზარხოსი თავის ბინაზე, სადაც ახლა კირიონი ბრძა-ნდება, პირში ვამხილე ისე მოურიდებლად, როვორც ზოგი კაცი ცოლის წინაშეც ვერ დაიტრაბაზებს შორს მყოფ მტრის გაკიცხვის შესაძლებლობას. ასეთი შინაარსის ქაღალდი, ხელმოწერილი ჩემ მიერ მაშინ დელ მთავრო-ბასაც წარვუდგინე. ყველა ამისათვის სინოდი ვასტორგოვის და ალექსი ეგზარხოსის მეო-ხებით მიჰირობდა მთნასტერში გაგზავნას (იხ. „Изъ воспоминаний русского учителя православной грузинской семинарии. Москва. 1908 г., გვ. 72—87).)

ახლა გამომდგარა მ. ნიკიტა და უმტკი-ცებს თავის თავს, „ახალ სიტყვის“ ჯგუფი ძველი რეჟიმის მომხრენი იყენონ. ამ ძველი რეჟიმის სამსახურისათვის სხვის გაკიცხვისა-თვის ერთხელ გავაფრთხილე ერთი მოძღვარი. იწყინა. ახლა კი მგონია თავის თავის მადლო-ბელი არ უნდა იყოს... ვისაც სურვილი აქვს იძის ჩემი წარსული და გამოაქვეყნოს. დღე-

რთმა ის უნარი მომცა, რომ ერთ ხაზზე წერა და გადაკეთე რა, ვწუ-ხეარ ამას, მაგრამ ვცდილობდი არა წამებდონა რა: და თუ დღეს ტრადახობათ მიიღებს ვინ-მე ზემოდ იძულებით ჩემს ნათქვამს, ეს ცო-დვა ზღოს, ვინც გამოიწვია იგი. „ახალ სი-ტყვის“ ჯგუფის დანარჩენ წევრთ ჩემი გამო-სარჩელება არ სჭირდება: უმათოდ არაფერი საქმე სახეირო არც დაწყებულა და არც გა-თავდებულა ქართველ სამღვდელოებაში. კერ-პებს ვერ ვემსახურებით, შინაური იქნება ის, თუ გარეული (თუნდ კორონულის მეუღლე იყოს). ვერც ენას დავიდუშებთ ნამუსზე და გონიერებაზე ხელ აღებულის წინაშე.

თუ ვინმესათვის ცხილი არ არის „ახალ სიტყვის“ მიზანი, ვიტყვით კიდევ. ჩვენ არ მოვისვენებთ, სანამ ჩვენი უფროსები არ იწი-მებენ წმინდა კოლლეგიურ გამგეობას, სანამ იგინი არ მიეჩვევიან პატივით მოეპყრან უმ-რაფლესობის აზრს; სანამ იგინი არ დაანებე-ბენ თავს უგუნურ ახირებას: „ეს შენობა ჩემია, ეს მონასტერი ჩემია, ეს სამურჩაყანო-ელი მღვდელი ჩემია და მე უნდა ვაკურთხო დეკანზადათ, ეს იდიოტი ჩემია და ხმა არ გასცეთ მასთა“ და სხვა. მადლობა დმერთს, სამურჩაყანოელ მღვდელსაც მივუჩინეთ თავი-სი დამფასებელი და სხვასაც და ყველამ უნდა იცოდეს თავის უფლების საზღვარი და დემა-გოგობას თავი დაანებოს.

მღ. ქ. ცოცქიშვილი.

## ი ეკალამის წერილისა- გამო.

უგეთუ ბოროტსა ვეტერანე,  
ჭიათუ ბოროტისათვის; უკათუ  
ჭეთილსა, რაისათვის მცემ (სახ.  
ითან, 18, 23).

წავიკითხე ია ეკალამის წერილი—  
„მეითხველის შენიშვნები“ (ჩვენი ქვეყანა № 57) და მაშინვე თვალ წინ დამიღებ ებრა-ელთა მღვდელმთავრის ანნას იმ უბადრუკი მოსამსახურის სურათი, ქრისტეს რომ სილა სწნა ყველიმალში გაბრაზებულმა მხოლოდ იმის გემო, რომ უკანასკნელმა ღირსული პასუხი

გასცა ანნას „თუ სიყალბე ვხი ქვი, და მტკი-  
ცე, თუ სიმართლე-და რას მერჩი, რისთვისა  
მცემოდა ჰკითხა ნაზა-ეელმა უგუნურ მა-  
ხურს.

ვგრძელებოდა რასთვის „შევედრია ახე  
მტრულია ბ. ეკალაძე „ახალ სიტყვის“. რას  
ხედის სა იღნიშნულ ორგანოში დასაგმობს  
და ჩასაქორის!

თუ რამეტ უცნაურობის გ მო ბ. ეკალა-  
ძეს არ შეუძლიან გამონება ქართული სი-  
ტყვების „ჯაჭვაძის“ და „კინჭარისა“, ამისი  
რა მოგახსენოთ, აღმართ ამ მოცლების შიზეზი  
ექნება ეკალაძეს ორგანიზმში, თორებ ლობე-  
კორეს მოდებას ის არ ემჯობნებოდა, რომ  
ეკალაძეს არსებითად გაერჩია „ჯაჭვაძის“ და  
„კინჭარი“ წერილები და თუ ისინი ყალბე-  
ბი, სინამდვილეს მოკლ ბულები არიან, ცხა-  
დათ დაწნევებია მკათხველებისთვის? აბათი  
ლეგებს რითმეტ თვის ფელეტონში ბ. ეკალა-  
ძე ჩე მც პარალელებს, რომელებსაც უცნ-  
ნებენ „ჯაჭვაძე“ და „კინჭარი“ თავ აწ წე-  
როდე შე აღნიშნუ პირებს? არც ერთი სი-  
ტყვით, არც ერთი ხაზით, არც ერთი ფრჩხი-  
ლის გასმით. ბ. ეკალაძეს გამოუკიმის უშვე-  
ლებელი ფელეტონი, მაგრა მეს ჩაუდენია მას  
სწორებით იმ მოტივებით, რომლების ძალია  
თაც ანნა მღვდელ-მთავრის მსახურმა სილა  
გაარტო ქრისტეს ვისოფის უფრო სათავი-  
ლოს ასეთი საქციელი, პირად ბ. ეკალაძე-  
სთვის, თუ მასი პასაკვანი კლიენტებისთვის,  
მცირებულებმა გააჩიონ.

ჩვენ კაში არ დავტრინავთ და არ ან-  
გელოზთა გუნდს წა მუვადენოთ, ჩვენი მო-  
ქალაქობა სწარმოებს ცოდვალ დედა მიწაზე,  
ხორციში მყოფ აღამიანთა შორის ვტრიალებთ,  
უყვალ ნაბიჯზე მოქალაქეს ვჯახებით და  
როგორ შეგვ ძლიან გვერდი ავ ქვით ამ  
მეზობელ-მოქალაქთა პიროვნებას, მათ მო-  
ქედებათა განხილვა შეფარებას, იმას, თუ  
ვინ გვიმშარებს არ ებობას, ვინ ღალატობს  
სამშობლოს, ან არნაა ერის მოკითე?

ჩვენი შიზანია ხელი შევუწყოთ მშობ-  
ლიურ ეკლესის განახლ ბას ეს განახლება  
უნდა განახორციელონ და ცხოვრებაში გაა-  
ტორონ ეკლესის მსახურებმა. როდესაც ღვთი-

სეგან მოცემული ხუთი გრძნობა გვიჩვენებს, რომ ეკლესის მსახურთაგანი ზოგნი გამცე-  
მლობენ, ზოგნი გაიძვერაობენ, ზოგნი მხო-  
ლოდ თვის პირად სარგებლობას ემსახურე-  
ბიან და ანგარუზო მიზნების მისაღწევად ირა-  
ვით არ საშუალებას არ ერიდებიან, რომ ეკლე-  
სის სათავეში მოექცენ, განა მოვალე არა  
ვართ ასეთი პირნი გამოვამზეოთ, მათი „სა-  
ქმენი საგმირონი“ აღნიშნოთ და მათ პასუ-  
ხი მოვთხოვოთ აი ამ მოსაზრებით ხელვმ-  
ძლვანელობთ, როდესაც ჩვენ დავსუსს დავ-  
კინჭრეთ ჩვენს წერილებში აღნიშნული პი-  
რები. და თუ შემცდარები ვართ, გაგვამტყუ-  
ნონ, შეცდომიდან გამოვიყვანონ, თვალები  
აგვიხილონ და დიდის მოწიწებით ქედს მო-  
ვიხიროთ და ბოლიშ მოვთხოვა უველას წი-  
ნაშე არა ჩვენ არც წინეთ გვიღმერთებია  
კერპები და არც ახლა ვიწამებთ მათ, ეკალა-  
ძე კი არა, მთელი ქვეყნის ვექილებიც რომ  
მოგვისიონ.

ბ. ეკალაძე გვიძრახავს ფსევდონიმების  
ხმარებას და კითხულობს „რომელი მოციქუ-  
ლი იმალავდა თავს, როცა ვისმეს ამხილე-  
ბდაო?“ მკურნალო! განიკურნე თავი შენი!  
თუ არა ვცდებით „ია ეკალაძე“ ფსევდონი-  
მია და არა ნამდვილი სახელი და ვარო. ამის  
გარდა ფსევდონმის ხმარება თუ ასე საძრა-  
ხისათ მიაჩნია ჩვენს გამკიცხველს, თითონ  
არ უნდა თანამშრომლობდეს ისეთ ორგანო-  
ში, რომელშიაც სულ ხშირად შეხვდებით  
ფსევდონიმებს. აი თუ გნებავთ იმავე ნო-  
მერში („ჩვ. ქვ.“ № 57) გაკიცხულია თბი-  
ლისის საგუბერნიო კომისრის საქციელი და  
წერილის ქვეშ აწერია ფსევდონიმი თირაც.  
დღი ნაწილი პუტლიცისტებისა და საერო  
მწერლებისა ფსევდონიმებს ხმარობენ; მაშ  
ივრი ეკალაძის თქმით „სირაქლებები არიან  
და ნიორივით ჰყარან“. ან იქნება სხვები-  
სთვის შეთერი და უდანაშაულო რამ მო-  
მაკვდინებელი ცოდვის ფინანსების ღებულობს  
მხოლოდ „ახალი სიტყვის“ თანამშრომლები-  
სთვის!?

ვოქვათ ივანიუ ჯაშუშია და მოღალატე  
მშობლიონ ენისა. ეს გამოაქვეყნა პეტრიკი-  
ლიმ და არა „კინჭარმა“. მერე რომ, რა

აზრი და მნიშვნელობა აქვს ამას? განა სა-  
სიზღრობა საზიზღრობადვე არ დარჩება. ვინც  
უნდა გამოაქვეყნოს იგი?

„ნიშანში ამოულიათ თავისი თანამომე-  
ნი და ძველის თარიღით ახალ ლაფს ასხავენ  
თავზეო“, ბძანებს ჩვენი პატივი. საუცხო-  
ვოა, თქვენმა მზემ. რაკი იუდამ ამ ოცი სა-  
უკუნის წინ ჩაიღინა გამცემლობა, დღეს მას  
სიყვარულითა და სრული პატივის ცემით უნ-  
და ვისხენებდით ყველანი! ქამმა თავი მოი-  
კრა წარღვნის შემდგ და რაკი მას უკნ  
ამოდენმა დრომ განვლო, ეხლა მის საკუ-  
ელს წუნს აღარ უნდა ვდებდეთ აღარავინ!  
ეს თუ ასეა, მაშინ გაუგებარია ჩვენფვის,  
თვითონ ეკალაძე რაღათ იხსენიებს ზიზღით  
ექსარხოსებს: პავლეს, ვლადიმერს, ნიკონს,  
ინნოკენტის, დიმიტრი აბაშიძეს და სხვ. ესე-  
ნიც ხომ „ძველი თარიღების კაცებია“.

ჩვენ ბევრს აღარ გამოვყენიდებით ბ. ეკა-  
ლაძეს. მას დიდი უნარი ჰქონია სტრიქო-  
ნებ შორის კითხვისა. ქუთაისიდან სუნი აუ-  
ლია, რომ „თბილისში ქართულ ავტოკეფა-  
ლურ ეკკლესიის გარშემო გაჩენილა ორი  
ჯგუფი, — ერთი ათავსისწუნებული, მეორე  
ამთვალისწუნებული (ხაზი დედანისა) და ამ  
მეორე ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს უურნალი  
„ახალი სიტყვაო“...

ეს ორგანო დამოუკიდებელი კი არა,  
ვიღასგანაც დამოკიდებულია, რაც ცხადათ  
ეტყობათ, ბრძანებს ია ეკალაძე. მაშ თუ ასე  
ვიმსჯელებთ, უნდა გადატრით ვსოჭვათ, რომ  
ბ. ია ეკალაძესც თავისი ფელეტონი ვის-  
განლაც დამოკიდებულად დაუწერია, პურ მა-  
რილისათვის მაღლობის გადასახდელად...

ჭინჭარი.

## ქართულ ეკლესიის შენობა- ნი თბილისში.

როგორც გაზეუბი გადმოვცემენ, სა-  
კათოლიკო საბჭო უკვე შესდგომია ყო-  
ფილ სინოდალურ კანტორის და ყოფილ სა-  
ექსარხოსო კანცელარიის შენობებს ჩაბარე-  
რებას. უკველია, რომ დღეს, როცა ქალა-  
ქებში თითო ოთახი თვეში შვიდ-რვა თუმ-

ნამდე ფასობს, ავ შენობებს ბევრნი უგამებული  
ჩიდებიან მუქთა ხალვათობის მოყვარულნი.  
ასე იყო ექსარხოსების დროს და ჩვენში ჯერ  
ხომ იმათ ყაიდაზე მიღის ყველაფერი.

მაგრამ ეს ასე არ უნდა მოხდეს. ამ შე-  
ნობებს მხოლოდ და მხოლოდ საზოგადო სა-  
ეკლესიო დანიშნულება უნდა მიეცეს.

თვით მინისტრების სადა ცხოვრება გვი-  
ჩვენებს, რომ ამ ხნობით დაგმობილ უნდა  
იქმნეს ესრედ წოდებული დიდვაცური წარ-  
მოშადგენ ლობა, რისთვისაც ყოფილ ექსარ-  
ხოსებს და საერთოდ მსხვილ მოხელეებს მოე-  
ლი სასახლეები ეჭირათ გონივრულ საჭირო-  
ების გარეშე. ხოლო მშინობისგან აწეშილ-  
მა მდგომარეობამ ქალაქებში ერთნაირი შემ-  
ზღუდველი სავალდებულო დადგენილებაც  
კი გამოიწია, რომლის ძალითაც ყოველ სასი-  
სულხე ერთი 6X6 არშინიანი ოთახი საკმა-  
ოდ არის მიჩნეული. ქრისტეს და მის მოწა-  
ფებს ჭერი არ გააჩნდათ, სად შეეფარებინაა  
თავი, ხოლო მათმა უცოლშვილო, უოჯახია  
მოადგილებებმა, რომის პატრიციების და აღ-  
მოსავლეთის სატრაპეზთან შედარებით, ცო-  
ტათი მაინც შეივიწროონ თავი, რომ სხვებ-  
საც მისცენ აჩხებობის სახსარი

თუ ამ თვალსაზრისით შევხდავთ საჭმეს  
და ამას ზედ დავურთავთ ჩვენის გაძარცულ-  
ეკლესიის უკიდურეს სიღატაკე-უსახსრობას,  
იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საკათოლიკოზო  
საბჭო ზემო აღნიშნულ შენობებში ბინების  
განაწილებაში დროის შესაფერ ყაირათს, ნა-  
მდვილ დემოკრატიულ ზომიერებას და წინ-  
დახედულებას გამოიჩენს. არც ერთი მუქთა-  
ხორა ამაღლაში, არც ერთი შეტი მოხელე კა-  
ნცელარიაში, არავითარი ესრედ წოდებული  
„ნაოესავები“ ჩვენს შენობებში — აი რა ვა-  
თხოვთ ჩვენ საკათოლიკოზო საბჭოსგან.

ყოფილ სინოდალურ კანტორაში, ყო-  
ფილ საექსარხოსო კანცელარიაში და აწინ-  
დელ საპატრიარქო სახლში უნდა მოიახე-  
დნენ პატრიარქ-კათოლიკოზი, თბილელი მც-  
ტროპოლიტი, საკათოლიკოზო და სამიტრო-  
პოლიტო საბჭოები და სასამართლონი, სასუ-  
ლიოერო გამოცემათა რედაქციები, ყოფილ  
ეგზარხოსო ეკონომის ბინა მოსამზღვრე თოვ-

ხებითურთ დარჩეს მოწყობილი და თავისუფალი სამსახურის საქმეებისაგამო ჩამოსულ მიტროპოლიტებისა, ეპისკოპოსებისა და სხვა სასულიერო დაწესებულებათა წევრთათვის, რომელნიც თბილისში ჩამოსვლისას დიდ უხერხულებას განიცდიან ბინის უქონლობისაგამო,— და გარდა ამისა შეიდი—რვა ოთახი გაჟირავდეს და ფასი მოხმარდეს საქართველოს ეკლესიის საერთო საჭიროებათ.

ეს ყველაფერი შესაძლებელია და საჭიროც. სემინარიის ძეველ შენობის საიჯარალო პირობაში შეტანილ იქმნას საამდროო-სო ცვლილება, რომ მოიჯარადრემ ფაქტოური ანგარიში გაუწიოს ჩვენს იურიდიულ არსებობას.

საზოგადოების უფლება აქვს მოითხოვოს საეპთოლიკოშო საბჭოსგან, რომ მან ყურადღება არ მიაქციოს ამა თუ იმ „გავლენიან“ პირის სურვილებს და უადგილო, ახირებულ პრეტენზიებს და ისე მოიხმაროს ეს ქონება, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს ეკლესიის ნამდვილი ინტერესები.

აშერელი.

## წერილები რედაქციის მიმართ.

უურნალ „ახალ სიტყვის“ მესამე №-ში მოთავსებული იყო ცნობა, რომ საქართველო-კოშო საბჭოს 28 მარტის სხდომაზე საბჭოს კანცელარიის გამგის კანდიდატად პატრიარქ-კათოლიკოშის დაუსახელებია ყოფილ სინოდალურ კანტორის ცნობილი მდივანი ალექსი დავითაშვილი. მიმძიმს დაჯერება, რომ თვით მისმა უშმიდესობამ წამოიყენა კანდიდატურა ისეთის პირება, როგორიც არც ბატონი აღექსი, რომელიც 1917 წლის 12 მარტის შემდგაც აშკარად გაურბოდა საქართველოს ეკლესიასთან და ქართველებთან საქმის დაჭრას და ყველაფერში, საჭირო იყო თუ არა, ჩვენს მხაგრელებს ეგებოდა ფეხევეშ... მაგრამ არ შემიძლია არ ვერწმუნო პატრიცეპტულ „ახალ სიტყვის“, რომლისგან ჯერ არ მსმენია ყალბი და შეუმოწმებელი ცნობა.

და ამიტომ მთელის ჩემის არსებიტექსტობის რწმუნებ ქართველის უსამზღვრო გულის წყრომით პროცესის ვაცხადებ იმ აღმაშფოთებელ ფაქტის წინაღმდეგ, რომ სასათოლიკოზო საბჭოში ადგილი პეტრია ასეთ სათაკილო კანდიდატურის, რომელიც ჩირქსა სცხებს ჩვენს სინილის იმისდა მიუხედავად, რომ იგი არ განხორციელებულა ღვთის მაღლით.

იგ. ნაჭეული.

შურ. „ახალი სიტყვის“ სარედაქციო კოლეგიის რწმუნებული შამა ქრისტეფორე ციცქაშვილის.

მამაო ქრისტეფორე! მივიღე და წავიკითხე თქვენი უურნალი „ახალი სიტყვა“.

უწინარეს ყოვლისა მომეწონა მისი სახელი. დიდათ მასიამოვნა მიზანმა, რომელიც უურნალს დაუსახავს განსახორციელებლად.

მოვემზადე ლოცვა-კურთხევით დამელობა (ვერ არის კარგი ქართული; — რედ.) გზა მისი მსვლელობისა, საქართველოს განახლებულ ეკლესიის განსამტკიცებლათ ნაყოფიერ მოქმედებისა და სამოლვაწოთ ძალა-ენერგიის გაორკეცებისა, მაგრამ მერე, როცა ამ უურნალის ორივე ნომრის შინაარსი მოვისმინე, ვით, რომ მისმა ზოგადმა მიმართულებამ, კერძო პიროვნების დამცირების სურვილებით გაუღენთილმა შინაარსში ეს კეთილ-შობილური გრძნობანი მომიშვამა და სიამოვნობის ნაცვლად გული დამიკოდა, ლრმით დამატირა. ნუთუ ამგვარი მოღვაწეობით აპირობს ეს დამოუკიდებელი ჯგუფი განახლებულ ეკლესიის სამსახურს, მის მტრებთან წ. სახარების ნიადაგზე ბრძოლას, მუშობას! ნუ თუ ამ გვარათ შეიძლება განახლებულ ეკლესიის მებრძოლთა (?-რედ.) პიროვნების გასვრა, უსაფუძვლოთ გალანძღვა და მათი მოღვაწეობის ასე დაუმსახურებლათ წაშლა, გაქარწყლება?

ვგონებ რომ არა. ჩემის ღრმა რწმენით ეს შემცდარი ნაბიჯია, ამაზე ძლიერ ბევრი გვიქვს სათქმელი, მაგრამ ეს სხვა დროს და სხვა ადგილის.

ამ გზობისათ მხოლოთ ამასა გთხოვთ, ეს წერილი დაბეჭდოთ უურ. „ახალ სიტყვის“ უახლოვეს ნომერში და თან მაცნობოთ ვი-

ნაობა, ე. ი. ნამდვილი სახელი და გვარი „კინჭრის“ ნიღაბით პირდაფარულ თქვენის თანამშრომელისა, რომელიც ლაჩრულათ მიმაღლული ღობის ძირში და იქიდგან ნასროლ ტალახით ლამობს ჩვენი (?-რედ.) პიროვნების გასვრას. (სტილი და ორთოგრაფია ავტორის სრულს საკუთრებას შეაღენს.—რედ.) გვაცნობეთ მისი პიროვნება. დაგვანახეთ მისი სახე. გაგვასამართლოს ჩვენ კერძო პირების პატიოსანში და მიუდგომელმა სამართალმა და მაშინ ვნახავთ კინჭარი ვის პიროვნებას უფრო დასუსხავს და გააწითლებს, ჩემსას თუ იმისას?

მანემდის კი დავშთები ჩემი თხოვნის დაკაყოფილების მომლოდინე იმერეთის მიტროპოლიტი ანტონ ქუთათელი.

10 მარტი 1918 წ. ქ. ქუთაისი.

### პასუხი ქუთათელ შიტროპოლიტს ანტონს.

რედაქტია თანახმა დააკმაყოფილოს სურვილი ქუთათელ მიტროპოლიტის ანტონისა, მხოლოდ, რადგანაც საჭიროდ არა სცნობს ფულების გამოცხადებას, ანდობს თვის აუმუნებულს, მღ. ქრისტეფორე ციცქიშვილს გაჰყვეს მიტრ. ანტონს სამართალში ან საზოგადოში, ან სამედიატოროში, როგორსაც მოისურვებს მიტრ. ანტონი. ამასთანავე რედაქტია გადასცემს მღ. ქრისტეფორე ციცქიშვილს ყაველივე მახალის მიტროპოლიტ ანტონის მოღვაწეობის შესახებ. რადგანაც რედაქტის მხედველობაში აქვს საზოგადოებრივი საქმე, როდესაც იგი ეხება ამა, თუ იმ პირს, ამისათვის მოითხოვს, რომ საქმის გარჩევის დრო და დაგილი იქნეს წინდაწინვე გამოცხადებული, სამართალი მოხდეს საჯაროდ, სამართალში გამოცხადდეს თვით მიტროპოლიტი ანტონი და განაჩენი დაიბეჭდოს განეტეგმში.

ბოლოს რედაქტია მიმართავს კითხვით ანტონ მიტროპოლიტს: რატომ იწვევს იგი „კინჭარს“ ან მღ. ციცქიშვილს სამართალში და არა მისურაძეს, რომლის ჩვენებაც გამოაქვენა რედაქტიამ, და რომელსაც უნახავს იგი მიმავალი ღამით პლატონ ნაეგზარხოსალთან? ჩვენ გვვინია, სიმართლის თქმა პატრია კაცაც შეუძლიან.

„ახალ სიტყვის“ რედაქტია.

### პროგინციის ცხროვებიდან.

განათლებულ ქვეყანაში სამღვდლოდ ღირსეულად მომზადებულ პირებს სამთლით დახებენ, ვინაიდან აღზღის მარით დიდს იმედებს ამყარებენ მათზე .. ჩვენში-კი, ვინ ვნებავთ, არ წააჩოქონ და მღვდლის ხარისხით არ შემოსონ!

ეს რომ ასე არ იყოს, სარწმუნოებას ჩვენშიაც ფასი ექნებოდა... არ ყოლა ჯობია ცუდი მღვდლის ყოლას... და რათ გიყვირთ, რომ უთავო, გაუგებარ-შეუვნებელი მღვდლების ხელში სარწმუნოება და თვით პიროვნებაც—მღვდელი საზიზლრად მიაჩდეს ხალხს!..

ამას წინეთ, ფოთის ეპარქიალურმა საბჭომ საყოველთაოდ მოწერილებები დაგზავნა, რომ საკათელრო ტაძართან გაიხსნა კურსები სამღვდელო და სამედიცინეო კანდიდატების მოსამზადებლადო, „რომელში შესვლა და დამთავრება, ან, იმის პროგრამის მიხედვით, გამოცდის განვლა, მღვდლის, ან მედიცინის ადგილის მიღების მსურველთათვის აუცილებლად სავალდებულოა“. საბჭო ითხოვს, რომ კანდიდატები „დაუყონებლად (!) გამოცხადდენ ფოთში“.

მოწერილობის ძალით, ფოთის კურსებზე „დაუყონებლად“ შესვლა შეუძლია ყველა ვინგინდარის და ესენი სულ რაღაც ერთი, ან ორი თვის შემდეგ, ანაფორებით ეწვევიან სოფლებს... .

მაგრამ ერთი ვიკითხოთ: რად დასჭირებია საბჭოს კანდიდატთა ლაშქარი? ეს ხომ ვთხოსტორგვის მოსკოვული კურსები არ არის, რომელიც საციმბიროთ ამზადებდა სამღვდელოებს? (იქაც კანდიდატების განსაზღრული რიცხვი იყო). ნერავ სარამდენწლოდ ემზადება საბჭო?

ფრთხილად და მორ დებით მთელი ფოთი გონიერი შემოვიარე და ვერ აღმოვჩინე ისეთი პირი, რომელიც ამ საქმეს გაუძღვება... „არის“—კი ერთი რომელიც რევოლუციაში ფოთში გადატყორცნა და საბჭოს წევრობაც უბოძა, რომელიც „ნაქებია“ „დიაკონების“ „მომზადებაში“... მაგრამ სჯობის მან გვაკმაროს ის, რაც აქმდის უმოღვაწია,

სორილი ხცუმარა.



## ჩემი ჩანგური

ოდეს გავეცან ხილულ ქვეყანას  
და ვპოვე მასში მტრობა და შური,  
მსწრაფლ ძირს დავუშვი ხელში რომ მეპყრა  
დასკრავდა ჩემი ჩანგური.  
არსად სრულდება ქრისტეს მოძღვრება  
არც მაღლა მთაში და არც ძირს ბარზე,  
უარ ყოფილი არის ის ღმერთი,  
ჩევნი გულისთვის რომ ეცვა ჯვარზედ  
ნაზ-ფაქიზ გრძნობა სიყვარულისა  
მთლიად შეიცვალა მტრობაზე, შურზედ.  
ამასა მოსთქვამს, ამას დამღერის  
მწყემსი ეული თვის სალამურზე.  
დიად მოძღვრისია ძმობა-ერთობა  
მთლიად შეიცვალა» წალი, მომზორდზედ“  
და ამას მოსთქვამს გულ-ჩათქული  
ნაზი ბულბული ქოჩინიან კორდზე  
მღვდ. ლ. ზუგაპიშვილი.

## ქრონიკა

მოგვყავს შემოკლებით თბილელ ქართველ  
სამღვდელობის ამა წლის 5 აპრილის საგანგებო  
კრების დადგენილება.

მილოს თბილელმა სამღვდელოებამ  
ამიერ-კავკასიის დღევანდელ თავდაცვით ოშ-  
ში აქტიური მონაწილეობა, როგორც და რა  
სახითაც საუმჯობესოდ დაინახავს სამხედრო  
შთაგრობა, გარეშე საომარ იარაღის ხმარებასა. სისუწოდოს სრულიად საქართველოს სამღვდე-  
ლოებას, რომ მან სიტყვით და პირადის მაგა-  
ლითით გაამნენდოს ერი ეროვნულ თავდაცვის  
საქმეში. ცველა იმათ, ვინც რაიმე მიზეზით  
მინ რჩება, მოუწოდოს მილონ მხურვალე  
შონაწილეობა მამულის დასაცავად გასულთა  
ოჯახების მოვლა-შენახვაში. მიენდოს ცალკე  
კომისიის, რომ სინდისის ქვეშ გადაუწყი  
ტოს კრებულთა კოველ წევრს, თუ ვის რა-  
ისოდენი დაეჭიროს ხაზინაში ჯამაგირიდან ყოვ-  
ელთვიურად ეროვნულ საბჭოს გადასაცემად  
პირველ აპრილიდან. მიეცეს სამრევლო საბჭო-  
ებს წინადადება, რომ ამ თვის დამლევამდე  
კილონ ეროვნულ საბჭოს განკარგულებაში ერ-  
თდროული შეწირულება ექლესიების თანხიდნ.

როგორც მოხსენებული გვქონდა, 6  
ვარტს კრებაზე საკათოლიკოს საბჭომ მღვდელ  
შონაზინ მირიანსა და მლ. ტ. ბაკურაძეს აუ-  
კვეთა ღვთის მსახურება. ეს დადგენილება  
მიღებულ იქმნა მაშინ ერთხმად. ეს დადგენი-

ლება არ მოწონებია ზოგთ. ალუძრავთ საკი-  
თხი, მირიან ბერი ვის ეპარქიაში შედისო,  
თუმცა ცხადზე უცხადესია, რომ არმაზის მო-  
ნასტერი, რომელიც თბილისის მაზრაშია,  
შედის თბილისის სამიტრობოლიტოში. კათო-  
ლიკოსის და დეკ. ნ. თალაკვაძის აზრით :ღ-  
ნიშნული მონასტერი უნდა მიეწეროს მცხე-  
თის ეპარქიას და მირიან ბერი გასმართლე-  
ბელ იქმნეს მცხეთის საეპარქიო სამართლოს  
მიერ. საკათოლიკოზო საბჭოს შე-  
მაღვენლობას, ორი ხმის წინააღმდეგ, უარ  
უყვით ეს აზრი და განხრახვა.

საგულისხმიერო და დამახასიათებელია  
ღებ. ნ. თალაკვაძის ქცევა ამ საქმეში. უმა-  
ღლეს დაწესებულების, საკათ. საბჭოს, წევრი  
ორ სხდომაზე ერთსა და იმავე საგანზე გამო-  
სთქვამს ორს დიამეტრალურად საწინააღმდე-  
გო აზრს, იშისდა მიხედვით. თუ ვინ თავ-  
ჯღდომარეობს კრებას. პეტრე თუ ივანე, მი-  
ტრობოლიტი, თუ კათოლიკოსი. მ. თალა-  
კვაძე 6 მარტს მიემხრო ბრალდებულთა და-  
სჯას, შემდეგ კი იმავე თავის მიერ და დას-  
ტურებულ დადგენილებაზე „პროტესტი“  
აცხადებს. პროველ შემთხვევაში თავმჯდომა-  
რეობდა მიტრობოლიტი ლეონიდი (კათოლი-  
კოსის ავალმყოფობისა გამო), ხოლო მეო-  
რეში კათოლიკოსი კირიონი.

თბილელი მიტრობოლიტი ლეონიდე საკხოვრ-  
ებლად გადავიდა ყოველ სინოდალურ კანტ-  
ორის შენობაში, რომელიც უკვე დაატოვებ-  
ინეს რუს ეპისკოპოს თეოფილაქტეს.

თბილისის პეტრეპავლეს სასაფლაოს ეკლესიის  
სამრევლო საბჭომ საქ როველოს თავდაცვის  
საქმისთვის 10 აპრილს გადასცა ეროვნულ  
საბჭოს თითქმის მთელი თავისუფალი თანხა  
ამ ეკლესიისა, ათასი მანეთი.

თბილისის ნაძალადევის, კავრაცხოვლის, კუკიის  
წმ. ნინოს სასაფლავოს, მიხეილის საავათმყოფოს  
და მეტეხის ცხის ქართული ეკლესიები დღ-  
ებისთვის რუს ეპისკოპოზის მფარველობის ქვეშ  
ყოფნას განაგრძობენ. კვირაცხოველში ეპის-  
კოპოს თეოფილაქტემ მღვდელიც კი დანიშნა  
თავის უფლებით. ნეტავ რას აპირობენ ამ ეკლ-  
ესიების ქართველი მოძღვრება; წასულ ეშელ-  
ონებს გაჰყენებიან უკან რუსეთის კენ თუ აქითენ  
“მომავალ“ ეშლონებს მოუცილიან???

გამომცემელი „ახალ სიტყვის“ სარედაქციო კოლლე-  
გიის რწმუნებული მლ. ქ. ციცქიშვილი.